



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბაქრაძე უჩა სერგოს ძე

ბაქრაძე უჩა სერგოს ძე (4. IV. 1913, ონი, – 22. XII. 1991, თბილისი), არქიტექტორი. საქართვე. დამს. ინჟინერი (1961).

დაამთავრა საქართვე. ინდუსტრ. ინ-ტი (1946). მუშაობდა მშენებლობებზე და საპროექტო ორგანიზაციებში, სოხუმის მთავარ არქიტექტორად, აფხ. მინისტრთა საბჭოსთან არსებული არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს უფროსად (1945-51), თბილ. ოლქის არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს უფროსად (1952-53), თბილ. მთავარი არქიტექტორის მოადგილედ (1960-71), საქართვე. სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ტრესტის „ორგტექმშენის“ მმართველად (1971-72), საპროექტო ინ-ტის „საქკოლმეურნაპროექტის“ დირექტორად (1972-73), საქართვე. კულტ. სამინისტროს კულტურის ძეგლთა დაცვისა და სახვითი ხელოვნ. სამმართველოს უფროსად (1974-78) და სხვ. ნამუშევრები: ახალციხის რკინიგზის ვაგზალი (1946), საცხოვრ. სახლები სოხუმში (1947-49), აგარაკები კელასურში (1950) და სხვ.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ს. კინწურაშვილი

მ. მაისურაძე
